რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა აფრიკის კონტინენტზე

ანა გაბრიაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მამუკა კომახია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გაბრიაძე ანა

25 ივნისი 2019 წელი

აბსტრაქტი

აფრიკის კონტინენტზე რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის შესახებ ქართულ სამეცნიერო სივრცეში ნაკლები ინფორმაციისა და ზოგადად არსებულ საერთაშორისო ლიტერტურაში აღმოჩენილი ინფორმაციული ვაკუუმის აღმოსაფხვრელად კვლევა თავის წვლილს შეიტანს რუსეთის ახალი თუ კარგად დავიწყებული ძველი საგარეო პოლიტიკური რეალობის საკითხებზე. ნაშრომი იმით არის ორიგინალური, რომ აქამდე ჩატარებული კვლევებისგან განსხვავებით კვლევამ აჩვენა კავშირი აფრიკის კონტინენტზე რუსეთის საგარეო პოლიტიკური ჩართულობასა და მის გავლენაზე დასავლურ სამყაროში, ასევე დასავლური მოკავშირეების დამოკიდებულებასა თუ ეკონომიკურ სარგებელზე. ნაშრომში მკაფიოდაა გამოხატული რუსეთის ინტერესები აფრიკის კონტინეტის ქვეყნების მიმართ, როგორც მოკავშირე და თანამოაზრე სუბიექტებზე.

სამაგისტროს ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აფრიკის კონტინენტზე რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის გააქტიურების მიზეზების დადგენა და აფრიკის კონტინენტის ქვეყნებში რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის აქტიური მონაწილეობის სფეროების გამოვლენა. ნაშრომის საკვლევი საკითხი საბჭოთა კავშირის პერიოდში დაწყებული რუსეთის აქტიური საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების თითქმის 20 წლიანი შუალედი და მისი განახლებული ინტერესია აფრიკის კონტინენტზე.

საგარეო პოლიტიკის ცვლილების ემპირიულად შესწავლისთვის კვლევაში გამოვიყენეთ თვისობრივი მეთოდი, რომლის საშუალებითაც დადგინდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ცვლადებს შორის. ამ მეთოდის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ფენომენისა და მოვლენების დეტალურად აღწერა. ინფორმაცია მიღებული იქნა სხვადასხვა წყაროებიდან. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების, შესასწავლად გამოვიყენეთ Intrinsic Case Study. ამ ტიპის კვლევის საშუალებებმა მოგვცა შესაძლებლობა დაგვედგინა და გაგვეანალიზებინა კავშირი ცვლადებს შორის.

კვლევამ აჩვენა, რომ საბჭოთა პერიოდში აფრიკის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის, მმართველი ელიტების განათლებითა და მათთან

კონტაქტების გამყარებით მოპოვებული დივიდენდების გამოყენების რესურსი რუსეთისთვის დღეს, ფაქტობრივად, ამოწურულია, რადგან სხვა მსხვილ მოთამაშეებთან კონკურენციის საშუალება ამ ეტაპზე კრემლს არ გააჩნია. შედეგად რუსეთი აქტიურად ცდილობს, როგორც ძველი გავლენების დაბრუნებას, ისე კონტროლის ახალი სფეროების ხელში ჩაგდებას. რუსეთისთვის მიუღებელია აფრიკის კონტინეტზე ერთი კონკრეტული ქვეყნის ჰეგემონიის დამყარება და ის ცდილობს არ დაუშვას აშშ-ს ან ჩინეთის მხრიდან აფრიკის რესურსების ერთპიროვნლი კონტროლი. კვლევამ აჩვენა, რომ კრემლი დეკლალირებულად ცდილობს კონტინეტზე ექსტრემიზმთან, ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას ისევე, როგორც ისლამის პოლიტიკური რადიკალიზაციის პრევენციას. რაც შეეხება ეკონომიკურ ინტერესებს კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რუსული ეკონომიკური ინტერესები კონტინეტზე პირველ რიგში ნედლეულის ბაზარს ეხება, პოზიციების გამყარების თვალსაზრისით. ასევე. პრიორიტეტულია ექსპორტის გაფართოება სამხედრო-სამრეწველო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციისთვის.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკური აქტივობები აფრიკის კონტინენტზე, მათ შორის რიგ ქვეყნებთან დამყარებული ძლიერი პოლიტიკური კავშირები შესაძლოა საქართველოსთვის, კექრძოდ კი ოკუპირებული ტერიტორიების არაღარების კონტექსტში საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. აღნიშნულის არგუმენტად კი თუნდაც სირიის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი გამოგვადგება. კერძოდ კი მაშინ, როცა რუსეთის ფედერაციამ გაამყარა სირიასთან საგარეო მიმართულებით ურთიერთობები შედეგად მივიღეთ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა; აფრიკის ქვეყნები ; სავაჭრო-სამრეწველო სფერო; საბჭოთა კავშირი.

Abstract

The research given in this thesis will play a significant role in foreign affairs of Russian Federation at Africa, as there is a lack of information on this topic in Georgian scientific and generally, in international literature. According to this, thesis will fill the informational gap on a well-forgotten and present Foreign Affairs Interests of Russian Federation policy. The work is original, which until now in contrast of surveys made before, my work shows the connections, engagement and influence of Russian Foreign Politics on western world, survey shows the linkage on economic benefit and relationship with allies. Russian interests are highlighted in framework of African Countries, in role of an ally and like-minded partner.

The goal of the work is investigating the reasons of activating Russian Federation International Policy, revealing reasons and the fields Russia is actively engaged in African Countries. The study of the thesis is almost 20 years of Russia's active foreign policy initiatives during the Soviet Union and its renewed interest in the African continent.

For an empirical study of foreign policy, we used a qualitative research method to determine the connection to determine a given phenomenon and a detailed description of this fact. The information has been obtained from various sources. We used the **"Intrinsic Case Study"** to explain Russian foreign policy. The methods of this type gave us an opportunity to review and identify the linkage between variables.

The study has shown that support to African countries during Soviet Union period in political and economic directions, education of the ruling elites and strengthening contacts, practically has expired, because Kremlin does not have enough power to challenge with strong players for the moment. Russia is actively trying recovery of an old influence, as well as to intercept new fields. The Study has shown, that Kremlin declaratively fight against extremism, terrorism, organized crime, as well as preventing the political radicalization of Islam.

As for the economic interests, the study revealed that Russian economic interests are primarily related to the raw material market on the continent, in terms of strengthening positions. It is also a priority for expansion of the key market for military-industrial and dual-use products.

Key Words: In foreign affairs of Russian Federation; African Countries; Russian Foreign Politics; Soviet Union.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, მამუკა კომახიას სამაგისტროს თემაზე მუშაობის განმავლობაში მისი მუდმივი ჩართულობისა და რეკომენდაციების გარეშე, შეუძლებლი იქნებოდა ამ ნაშრომის მომზადება.

მოხარული ვარ, რომ ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესი ბატონ მამუკა კომახიასთან ერთად წარიმართა. მისი კომპეტენტური და პროფესიონალური რჩევების გარეშე კვლევის სწორად წარმართვა შეუძლებელი იქნებოდა.